პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

16 მაისი, შაბათი, 1987
№ 95 (9506) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა




## დიდი ჭადრაკი კვლავ ეწვია თბილისს

**თბილისს** კვლავ ეწვია დიდი ჭადრაკი. საზეიმოდ გაიხსნა ქალთა XI საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც ხუთი ქვეყნის წარმომადგენლები (სულ თორმეტი მოჭადრაკე) მონაწილეობენ.

ტურნირი გახსნა საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ, მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ ნინო ქვანიამ. შემდეგ ტურნირის მთავარმა მსაჯმა, საერთაშორისო კატეგორიის მსაჯმა ლილი წერომემ ჩაატარა წილისყრა, რომლის შედეგად მონაწილენი სატურნირო ცხრილში ასეთი თანამიმდევრობით განლაგდნენ: ჰენრიეტა ლაგვილავა (ქუთაისი, ოსტატი, რეიტინგი 2155), ევგენია პეიჩევა (ბულგარეთი, ეროვნული ოსტატი, 2115). ლილიანა ლეშნერი (პოლონეთი, ეროვნული ოსტატი, 2190), ნატალია კონოპლიოვა (მოსკოვი, საერთაშორისო დიდოსტატი, 2110); ციალა ქასოშვილი (გორი, ოსტატი, 2170), ქეთევან არახამია (თბილისი, საერთაშორისო ოსტატი, 2370), ელენა ახმილოვსკაია (თბილისი, საერთაშორისო დიდოსტატი, 2435), ქეთევან კახიანი (გარდაბანი, ოსტატობის კანდიდატი, 2220), ლიუდმილა ზაიცევა (მოსკოვი, საერთაშორისო დიდოსტატი, 2305), ლიჯია ქიკმანი (რუმინეთი, საერთაშორისო ოსტატი, 2220), თამარ ხუგაშვილი (თბილისი, საერთაშორისო ოსტატი, 2200), ქრისტინ ნიუბერგი (შვეცია, საერთაშორისო ოსტატი, 2005).

I ტურში მხოლოდ ხუთი პარტია გათამაშდა. ლაგვილავამ და ნიუბერგმა ჩამოსვლა დააგვიანეს და ისინი 17 მაისს შეხვდებიან ერთმანეთს. მოსკოველი დიდოსტატები კონოპლიოვა და ზაიცევა სწრაფად, უკვე მე-19 სვლაზე შეთანხმდნენ ყაიმზე. დაზავდნენ ქასოშვილი და კახიანიც. არახამია—ახმილოვსკაიას შეხვედრაში უპირატესობა ერთხანს დიდოსტატის მხარეს იყო, მაგრამ არახამიამ თანდათან გამოასწორა მდგომარეობა. პარტია დაახლოებით თანაბარ პოზიციაში გადაიდო. არც პეიჩევასა და ხუგაშვილის პარტია დამთავრებულა. ქართველ მოჭადრაკეს ერთგვარი უპირატესობა აქვს. ქიკმანმა ფიგურა შეწირა ლეშნერს, მაგრამ ეს უკანასკნელი ზუსტად იცავდა თავს,ცოტა ხანში კი დიდი უპირატესობაც მიიღო. ქიკმანი ცდილობდა, როგორმე ეხსნა პარტია, მაგრამ ვერ მოახერხა. პოლონელმა ოსტატმა პირველი გამარჯვება მოიპოვა თბილისის XI საერთაშორისო ტურნირში.

### ოლეგ სტრიჟაკოვი ამჯერადაც პირველი იყო

## ზაგრებსა და ლიუბლიანაში

**იუგოსლავიის** ქალაქები ზაგრები და ლიუბლიანა გამარჯვების დღის აღსანიშნავად ყოველწლიურად აწყობენ საერთაშორისო მძლეოსნურ გარბენს, რომელშიც ევროპის ქვეყნების ცნობილი მძლეოსნები მონაწილეობენ. იქ სხვა კონტინენტებიდანაც ჩამოდიან საასპარეზოდ. სხვადასხვა დროს ამ კროსებში გამარჯვება მოუპოვებიათ ცნობილ კოლუმბიელ სტაიერს ვიქტორ მორას, ინგლისელ ენტონი სიმონსს, მასპინძელ დანიელ კორიცას და სხვებს.

შეჯიბრებები საღამოს, მოზეიმე ხალხით სავსე ქუჩებში ტარდება და მიმზიდველ სანახაობას წარმოადგენს.

წლევანდელი ასპარეზობების შემდეგ ამ ტრადიციული კროსების ისტორიაში თბილისელი სტაიერის ოლეგ სტრიჟაკოვის გვარიც ჩაიწერება. დიახ, რამდენიმე დღის წინათ ოლეგმა ევროპის ბევრი ძლიერი მორბენალი ჩამოიტოვა და პირველი მიიჭრა როგორც ზაგრების, ისე ლიუბლიანას ცენტრალურ მოედნებზე მოწყობილ ფინიშთან. აღსანიშნავია, რომ ჩვენი სპორტსმენი შარშანაც მონაწილეობდა ლიუბლიანის გარბენში, მაგრამ მაშინ მხოლოდ მე-13 ადგილი დაიკავა.



### მშვიდობის ველორბოლა

● **პრაღა.** მშვიდობის ველორბოლის მეექვსე ეტაპი (მოსტი—პრაღა, 152 კილომეტრი) აშშ-ს წარმომადგენელმა უილიამ ბიშოპმა მოიგო — 3:53.25. მეორე და მესამე ადგილებზე გდ-ის ველოსიპედისტები ოლაფ ლუდვიგი 3:54.44) და უვე რააბი (3:54,47) არიან. პირად ჩათვლაში წინ გდრ-ის სამი სპორტსმენია: ოლაფ ლუდვიგი, უვე რააბი და უვე ამპლერი. გუნდურ ჩათვლაში ლიდერობას სსრ კავშირის წარმომადგენლები ინარჩუნებენ, რომლებიც გდრ-ის გუნდს 15 წამით უსწრებენ.

### ტელეტაიპი - მკითხველი

● **ბრაზილია.** ბრაზილიის დედაქალაქში მიმდინარეობს ფრენბურთელ ვაჟთა გუნდების ოლიმპიური შესარჩევი ტურნირი. კარგად გამოდიან არგენტინისა და კუბის გუნდები. არგენტინელებმა დაამარცხეს იაპონიის ნაკრები — 3:1, კუბის ფრენბურთელებმა კი ეგვიპტის გუნდი — 3:0. არგენტინელ და კუბელ ფრენბურთელებს 3-3 შეხვედრიდან 3-3 მოგება აქვთ.

● **ვილნიუსი.** აქ ი. გაგარინის სახელობის საერთაშორისო ტურნირში საასპარეზოდ იმყოფებიან აშშ-სა და ჩინეთის კალათბურთელი ვაჟები. გაიმართა ამხანაგური შეხვედრა სსრ კავშირის ნაკრებსა და ჩიკაგოს „მარათონ კლმ"-ს შორის. გაიმარჯვეს საბჭოთა კალათბურთელებმა — 118:60 (48:27). მათვე დაამარცხეს ჩინეთის გუნდი ანგარიშით—115:82.

● **ბრეჟნევი.** ძიუდოისტთა საკავშირო თასის გათამაშებაში ყოველი გუნდი სამი ასაკობრივი კატეგორიის (მოზრდილები, იუნიორები და ჭაბუკები) მოჭიდავეებით იყო წარმოდგენილი. ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ „დინამოსა" და შეიარაღებულ ძალთა პირველი გუნდები. გაიმარჯვეს დინამოელებმა — 10:9.

### ბექა ძაგანია უძლიერესთა შორის

**ლვოვის** „დინამოს" სტადიონის კორტებზე ჩატარდა ჭაბუკ ჩოგბურთელთა საკავშირო ტურნირი, რომელშიც მონაწილეობდა ყველა მოკავშირე რესპუბლიკის, მოსკოვისა და ლენინგრადის 60 გუნდი.

გუნდური გამარჯვებისთვის თასი ლვოვის „დინამოს" წარმომადგენლებმა მოიპოვეს. პირადი პირველობა ჭაბუკთა და გოგონათა ოთხ ასაკობრივ ჯგუფში გათამაშდა, ჭაბუკთა შორის გამარჯვება მოიპოვეს მინსკელებმა მ. მირნიმ და ა. სევრუკმა, კიეველმა ვ. გორბუნოვმა და თბილისელმა ბექა ძაგანიამ.

## ნინო დუმბაძის მემორიალი

**ნინო** დუმბაძეს ბედმა არგუნა ჩვენი მძლეოსნობის დესპანი ყოფილიყო საერთაშორისო სარბიელზე. მისი ბრწყინვალე მსოფლიო რეკორდები იყო ჩვენი სპორტის სადარბაზო ბარათები 40-იან წლებში, როდესაც ქვეყანამ ომისგან მიყენებული ჭრილობების მოშუშებასთან ერთად აქტიურად დაიწყო ზრუნვა სპორტის აღმავლობისათვის. ქართველმა ბადროს მტყორცნელმა რამდენჯერმე შეიტანა შესწორება მსოფლიო რეკორდების ცხრილში, იყო ევროპის ორგზის ჩემპიონი და ჰელსინკის ოლიმპიადის პრიზიორი.

შარშან გადაწყდა ჩვენს რესპუბლიკაში ჩატარებულიყო საერთაშორისო მემორიალი სახელოვანი სპორტსმენის, სპორტის დამსახურებული ოსტატის ნინო დუმბაძის ხსოვნის პატივსაცემად. ხვალ, 17 მაისს ამ შეჯიბრებას თბილისის „დინამოს" სტადიონი უმასპინძლებს. ასპარეზობის პროგრამაში შედის ტყორცნის სხვადასხვა სახე და ბირთვის კვრა. სარბიელზე გამოვლენ საბჭოთა კავშირის უძლიერესი სპორტსმენები, მსოფლიო რეკორდსმენი ნატალია ლისოვსკაია, ევროპის ჩემპიონი რომას უბარტასი, სახელოვანი უროს მტყორცნელები... თბილისში ჩამოვლენ პოლონელი მძლეოსნები. ელიან იუგოსლავიელ სტუმრებსაც.

შეჯიბრება დაიწყება 10 საათსა და 30 წუთზე.




**თბილისში** მიმდინარეობს პროფესიულ ტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეთა 38-ე საზაფხულო რესპუბლიკური სპარტაკიადის ზონალური შეჯიბრებები სპორტის 17 სახეობაში.

**სურათზე:** თბილისის 86-ე და კასპის 148-ე პროფტექნიკური სასწავლებლების კალათბურთელ გოგონათა შეხვედრების მომენტი.

ვიქტორ ბუკიას ფოტო.

## 17 მაისი ქართული ჭიდაობის დღე

**ქართული** ჭიდაობის დღე, რომელიც 17 მაისს საზეიმო ვითარებაში აღინიშნება რესპუბლიკის ქალაქებში, რაიონულ ცენტრებში, სოფლად, არავითარ შემთხვევაში ფორმალურ დღესასწაულად არ უნდა ვაქციოთ, ჭიდაობა ჩვენი ერის ჯანსაღი ტრადიციაა და მან ყოველმხრივ უნდა დაამშვენოს მისი ყოფა, ყოველდღიურობა. ჭაბუკებო და ახალგაზრდებო, ყმაწვილებო და ვეტერანებო, გამოდით სარბიელზე, ყველას აჩვენეთ თქვენი შნო და უნარი, შეეჯიბრეთ ერთმანეთს. გახსოვდეთ, რომ ყოველი ასეთი ლამაზად მოწყობილი ზეიმი წინ სწევს დიდ ეროვნულ საქმეს.



### ძიუდოისტები... ცისფერ კიმონოში

**ახლახან** პარიზში გამართულ კონგრესზე ევროპის ძიუდოს კავშირმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ მომავალი წლის პირველი იანვრიდან სპორტსმენებს უფლება ეძლევათ ტატამზე გამოვიდნენ თეთრი და ცისფერი კიმონოთი.

ევროპის ჩემპიონატზე, რომელიც გაისად ესპანეთში ჩატარდება, კონტინენტის ჩემპიონები ცისფერი კიმონოთი იასპარეზებენ.

(საკდესი).

ორიენტირი — სპორტული სკოლების აღსაზრდელთა საკავშირო თამაშები

# ვინ დაწინაურდა, ვინ პოზიციები დათმო...

**ამთავითვე** ვიტყვით: ძალოსნობაში მოსწავლეთა რესპუბლიკურმა პირველობამ, რომელიც ახლახან ჩატარდა რუსთავში, კიდევ ერთხელ დაგვანახა ზოგიერთი ნაკლი, რომელიც სპორტის ამ სახეობაში ჯერ კიდევ შეიმჩნევა: ახლანდელ ასპარეზობაზე შარშანდელი ჩემპიონი გუნდურ შეჯიბრებში სამხრეთ ოსეთის ნაკრები არა მარტო საპრიზო ადგილებს მიღმა დარჩა, ამ რეგიონისთვის საკმაოდ უჩვეულო მეექვსე ადგილიც დაიკავა.

დაძაბული ბრძოლა გაიმართა საჩხერელ კობა დიდბერიძესა (იგი დაშავებული ასპარეზობდა) და არმენ აირაპეტოვს შორის. მათ ორჭიდში ერთნაირი წონა დაძლიეს და გამარჯვებულის ბედი სპორტსმენის წონამ გადაწყვიტა — უფრო მსუბუქი არმენი აღმოჩნდა. კვლავ სპორტსმენის წონამ გადაწყვიტა მეორე-მესამე ადგილის ბედი საჩხერელ ძალოსანთა შეხვედრაშიც — ვალერი ჰიტაძემ „მოუგო" შალვა შუბითიძეს.

შეჯიბრებამ გვიჩვენა, რომ მოსწავლე ძალოსნები ურიგოდ არ მომზადებულან. ერთმა სპორტის ოსტატობის კანდიდატის ნორმა შეასრულა, 7-მა — პირველი, 12-მა — მეორე, 39 — მესამე თანრიგისა.

წონითი კატეგორიების მიხედვით პირველ ადგილებზე გავიდნენ: არმენ აირაპეტოვი (40 კგ, თბილისი), ლერი ლომთაძე (44 კგ, ქუთაისი), გავრილ დემურჩევი (48, წალკა), ილია თვალოძე (52, ქუთაისი), რობერტ მურადოვი (56, წალკა), თენგიზ არჩბა (60, აფხაზეთი), კობა იობიძე (67, წყალტუბო), მერაბ ხუბუკელაშვილი (75, ქუთაისი), დავით სოფრომაძე (82, ქუთაისი), ნორიკ დანამალიანი (90, თბილისი), ბორის საფარიანი (მძიმე, თბილისი).

შეჯიბრების დამთავრების შემდეგ საქართველოს ჭაბუკ ძალოსანთა უფროს მწვრთნელს გოგი თოდაძეს ვესაუბრეთ. აი, რა გვითხრა მან:

— მთავარი ის იყო, რომ საქართველოს მოსწავლეთა ნაკრების კანდიდატებმა, რომლებიც ჩვენი ხელმძღვანელობით ვარჯიშობენ, საქართველოს სპორტსახკომის ძალოსნობის ცენტრალურ დარბაზში დიდი უპირატესობით მოუგეს მეტოქეებს, რამაც კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა იმაში, რომ დღეს წვრთნის პირობებს და კვალიფიციურ მწვრთნელებს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. მახარებს ის, რომ გამოჩნდნენ პერსპექტიული ძალოსნები. მათ შორის დავასახელებ მერაბ ხუბუკელაშვილს, რობერტ მურადოვს, გავრიკ დემურჩევს და კობა დიდბერიძეს, წყალტუბოელ კობა იობიძეს. კობა წელიწადნახევარია, რაც ვარჯიშობს და უკვე პირველი თანრიგის ნორმატივს გადააჭარბა.

სიტყვამ მოიტანა და აქვე ვიტყვი, რომ უკეთესად მუშაობენ წყალტუბოელი მწვრთნელები. იგივე ითქმის აფხაზეთის წარმომადგენლებზეც. აჭარის გუნდმა კი შესამჩნევად დათმო პოზიციები. მთელ აჭარაში მხოლოდ ორი ჯგუფი მუშაობს. ერთ საშტატო ერთეულზე ორი მწვრთნელია გაფორმებული, არც ერთი ძალოსანი არ იზრდება ბათუმში, შედეგიც სახეზეა. აქაურმა სპორტსმენებმა ამ შეჯიბრებაზე ბოლო გუნდური ადგილი დაიკავეს. საინტერესოა რას ფიქრობენ აჭარის სპორტკომიტეტში. რაც შეეხება ცხინვალელებს, მათი ჩავარდნა, დარწმუნებული ვარ, დროებითია.

გუნდური ადგილები ასე განაწილდა: 1. საჩხერე — 2081 ქულა, 2. თბილისი — 2064; 3. ქუთაისი — 1858.

**ჯემალ კასრაძე.**



ს უ რ ა თ ზ ე: მერაბ ხუბუკელაშვილი.

ავტორის ფოტო.

მკითხველი შენიშნავს

# შემოვნება... კმარცხლებკზე?

**სპორტულ** შეჯიბრებებში გამარჯვებულთა პრიზებით დაჯილდოებას დიდი ხნის ისტორია აქვს. ამ ტრადიციას ჯერ კიდევ ძველ ელადაში ჩაეყარა საფუძველი. მას შემდეგ რანაირი პრიზით აღარ დაუჯილდოებიათ რაინდთა ტურნირებში თუ სპორტის ხალხურ სახეობებში გამართულ შეჯიბრებებში გამარჯვებულნი. ბოლო 20-25 წლის მანძილზე კი ჩვენში სპორტულ ასპარეზობათა ლაურეატების პრიზებით დაჯილდოების ისეთი ტრადიცია დამკვიდრდა, რომელიც, ჩვენი აზრით, აუცილებლად მოითხოვს გადასინჯვას და აი, რატომ: არ გადავაჭარბებთ თუ ვიტყვით, რომ ამ ხნის მანძილზე გაცემულ პრიზებს ბროლის ნაკეთობათა ერთი დიდი კოლექცია შეიძლება ვუწოდოთ. დაგვეთანხმებით, რაგინდ ძვირფასიც უნდა იყოს ამა თუ იმ პრესტიჟულ შეჯიბრებაზე დაწესებული პრიზები, მუდამ ერთნაირი საჩუქრებით სპორტსმენთა დაჯილდოება აუფერულებს ამ ტრადიციულ საზეიმო ცერემონიალს. რატომ არ შეიძლება მივბაძოთ, მაგალითად, ლენინგრადელებს: აქ სპორტულ ასპარეზობათა პრიზების კოლექციაში ხშირად იხილავთ კლასიკოს მწერალთა გამოცემებსა და გრაფიკულ ან ფერწერულ ნამუშევრებს.

დიდი ხანი არ არის, რაც თბილისში, აბანოთუბანში, საფუძველი ჩაეყარა მშვენიერ წამოწყებას — ახალგაზრდა მხატვართა ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვას. ამ სიახლემ ასეთი რამ მაფიქრებინა: იმ ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა, რომლებიც აწყობენ ან შეფობენ სხვადასხვა სპორტულ ღონისძიებებს და გამარჯვებულთათვის პრიზების შეძენაზეც ზრუნავენ, პრიზების კოლექცია საინტერესო წიგნებითა და ფერწერული ნამუშევრებით გაამდიდრონ. რა თქმა უნდა, ამგვარი საჩუქრების შეძენა უფრო ძნელია, ვიდრე გადარიცხვით ბროლის ლარნაკების ყიდვა, მაგრამ, ვფიქრობთ, საწარმო-დაწესებულებათა ხელმძღვანელებს, თუ ისინი ანგარიშს გაუწევენ გულშემატკივართა გულისთქმას, არ გაუჭირდებათ წიგნებისა და სურათების შოვნა. ასეთი პრიზი დაჯილდოების ცერემონიალსაც დაამშვენებს და სპორტსმენებსაც დაამახსოვრდებათ ის შეჯიბრება, რომელში გამარჯვებისათვისაც ეს ჯილდო მოიპოვეს.

**ს. ნიშნიანიძე,**
მუშა.
ქუთაისი.

ვუბრუნდებით დაბეჭდილს

# „რატომ აგებს „შევარდენი?""

ეროვნული ბიბლიოთეკა

**უმაღლესი** ლიგის რეგბისტთა საკავშირო ჩემპიონატის სტარტზე თბილისის „შევარდენი" შინ გამართულ ექვსივე შეხვედრაში დამარცხდა და სატურნირო ცხრილის ბოლოში მოექცა. „ლელოს" 16 აპრილის ნომერში რუბრიკით „რეცენზიის მაგიერ" გამოქვეყნდა წერილი სათაურით „რატომ აგებს „შევარდენი?", რომელშიც ლაპარაკი იყო გუნდის წარუმატებელი გამოსვლის მიზეზებზე.

სპორტსაზოგადოება „კოლმეურნის" რესპუბლიკურმა საბჭომ რედაქციას აცნობა: „წერილში მოყვანილი ფაქტები, გუნდის კვებისა და ინვენტარით მომარაგების საკითხების გარდა, დადასტურდა.

სპორტსაზოგადოებამ დროულად იზრუნა უმაღლეს ლიგაში მოასპარეზე გუნდისთვის საჭირო პირობების შესაქმნელად, მაგრამ სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტმა გააჭიანურა ინსტიტუტის სტადიონის რეკონსტრუქციისა და კეთილმოწყობის სამუშაოების, აგრეთვე გუნდისათვის ავტობუსის გამოყოფის საკითხების მოგვარება. „ლელოს" კრიტიკული გამოსვლის შემდეგ „კოლმეურნის" რესპუბლიკურმა საბჭომ პრეზიდიუმის სხდომაზე საგანგებოდ იმსჯელა „შევარდენის" საგანგაშო სატურნირო მდგომარეობაზე და მიიღო შესაბამისი დადგენილება, რომელიც ითვალისწინებს იმ საკითხების დაუყოვნებლივ მოგვარებას, რაზეც კრიტიკულ წერილში იყო ლაპარაკი.

პრეზიდიუმის სხდომას ესწრებოდა სამშენებლო ორგანიზაციის წარმომადგენელიც, რომელმაც განაცხადა, რომ სტადიონის რეკონსტრუქციისა და კეთილმოწყობის სამუშაოები ივნისის ბოლომდე დამთავრდება".

**ოთარ კალაძე,**
სპორტსაზოგადოება „კოლმეურნის" რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე.

• • •

**შენიშვნა:** საკითხი განხილულია და წერილზე პასუხი მომზადებულია ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოებების ერთ ორგანიზაციად გაერთიანებამდე.

# კვალიფიკაციას იმაღლებენ მეთოდისტები

ჩვენმა გაზეთმა არაერთხელ გაიხადა მსჯელობის საგნად საცხოვრებელ ადგილებში გაშლილ ფიზკულტურულ-სპორტულ მუშაობაში არსებული ნაკლოვანებები, ითქვა, რომ საბინაო-საექსპლუატაციო კანტორების ფიზკულტურის მეთოდისტების კვალიფიკაცია არ შეესაბამება სადღეისო მოთხოვნებს.

ჩვენს კრიტიკულ გამოსვლას გამოეხმაურა საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის კვალიფიკაციის ამაღლების ფაკულტეტი. ამ დღეებში აქ ერთკვირიანი სემინარის მოსასმენად შეიკრიბა რესპუბლიკის სხვადასხვა ქალაქისა და რაიონის საბინაო-საექსპლუატაციო უბნების 60 ფიზკულტურის მეთოდისტი. მათთვის შემუშავდა 36-საათიანი სპეციალური სასწავლო პროგრამა. მალე სემინარულ მეცადინეობებში კიდევ 30 მეთოდისტი ჩაებმება.

# გმირის სახელობის თასზე

თბილისის თემქის დასახლების IX კვარტლის № 7 საბინაო-საექსპლოატაციო უბანთან არსებულ ნოდარ დარბაისელის სახელობის სპორტულ კლუბში, სადაც 140-მდე ჭაბუკი ვარჯიშობს რინგზე, გამარჯვების დღესთან დაკავშირებით ჩატარდა ნორჩ მოკრივეთა შეჯიბრება საბჭოთა კავშირის გმირის, მფრინავ ზაქრო ხიტალიშვილის თასზე. შეჯიბრებაში იმარჯვეს კახა ჩქარეულმა, გოჩა ფოლადაშვილმა, ვასო ნატროშვილმა, გელა ხუხუნეიშვილმა, ზაზა ჩიხლაძემ და იური დიომინმა. ზ. ხიტალიშვილის თასი ნოდარ დარბაისელის აღზრდილმა სლავა ჩიკმაზოვმა დაისაკუთრა.

შეჯიბრების მთავარი მსაჯი იყო სპორტის ოსტატობის კანდიდატი ზურაბ გაბუნია, არბიტრი — რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი ბ. ფრალოვი.

ამ საინტერესო ორთაბრძოლებს ესწრებოდნენ დიდი სამამულო ომის მონაწილენი ილია წეველიძე, სონია მაკეევა, გიორგი ცაციაშვილი, ავთანდილ კალმახელიძე და კულა იანვარაშვილი, რომლებსაც შეჯიბრების მონაწილეებმა სამახსოვრო საჩუქრები გადასცეს.

**ზურაბ გაბუნია,**
შეჯიბრების მთავარი მსაჯი.

# დაღუპულთა ხსოვნის უკვდავსაყოფად

თავს დამტყდარმა სტიქიურმა უბედურებამ, გარდა იმისა, რომ დიდი მატერიალური ზარალი მოგვაყენა, ადამიანების სიცოცხლეც შეიწირა. ხალხი წინ აღუდგა ბუნების დამთრგუნველ ძალას. მამაცთა ძალისხმევამ ბევრი განწირული იხსნა. მათ სახელებს არასოდეს დაივიწყებს მადლიერი ხალხი. ახლახან დმანისის რაიონში მოვიწვიეთ სოფელ ჭალადიდში გმირულად დაღუპული რახიპ მამედოვის და-ძმა. ისინი დაესწრნენ შინაგან საქმეთა დმანისის რაიგანყოფილების სპორტულ-გამაჯანსაღებელ კომპლექსზე გამართულ ფიზკულტურულ-სპორტულ ღონისძიებას. იმ დღეს მათ მესტიის რაიონის სოფელ ჭუბერიდან ჩამოსახლებულ სვანებთან ერთად კომპლექსის ტერიტორიაზე და მდინარე მაშავერის ნაპირზე დაღუპულთა ხსოვნის უკვდავსაყოფად ხეები დარგეს.

**კოლა ბარაქლოვი,**
დმანისის რაიონის ფიზკულტურის კომიტეტის თავმჯდომარე.

ევროპის ჩემპიონატის ირგვლივ

# ნაბიჯი წინ შარშანდელთან შედ[არებით]

**ძიუდოისტთა** ევროპის პირველი ჩემპიონატი 1951 წელს ჩატარდა, მაგრამ საბჭოთა მოჭიდავეები მასში არ მონაწილეობდნენ, რადგან ძიუდო ჩვენს ქვეყანაში მაშინ არ იყო გავრცელებული. ჩვენი ძიუდოისტების დებიუტი კონტინენტის ჩემპიონატში მხოლოდ 11 წლის შემდეგ, 1962 წელს შედგა. ასე რომ, წლევანდელი ასპარეზობა, რომელიც 7-10 მაისს საფრანგეთის დედაქალაქში გაიმართა, საიუბილეოდ უნდა მივიჩნიოთ. მას შემდეგ ზუსტად 25 წელი გავიდა.

ევროპის ბოლო ჩემპიონატში (1986 წელი, ბელგრადი) საბჭოთა ძიუდოისტები სუსტად გამოვიდნენ: მხოლოდ ერთი ოქროს და სამი ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს, წლეულს კი შესამჩნევად გამოაკეთეს მდგომარეობა. ჩვენი სპორტსმენების მიერ მოპოვებული შვიდი მედლიდან სამი ოქროსია, ერთი — ვერცხლის და სამი — ბრინჯაოსი. ამაზე უკეთესი შედეგი მხოლოდ ტურნირის მასპინძელს — საფრანგეთის ნაკრებს ჰქონდა (სამი ოქროს და ოთხი ვერცხლის მედალი). პირველი-მეორე ადგილები სწორედ ამ ორმა კოლექტივმა დაისაკუთრა.

პარიზის ჩემპიონატში ჩვენი რესპუბლიკის ორი წარმომადგენელი გამოდიოდა: ქვემძიმე წონაში გორელი კობა კურტანიძე, მძიმეში — ქუთაისელი აკაკი კიბორძალიძე. კურტანიძეს ოქროს მედალი ერგო, კიბორძალიძეს — ბრინჯაოსი.

განსაკუთრებით ძლიერმა ძიუდოისტებმა მოიყარეს თავი ქვემძიმე წონაში, სადაც კურტანიძე გამოდიოდა. ნახევარფინალში გორელმა მოჭიდავემ მოსკოვის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონს ბელგიელ რ. ვან დე ვალეს აჯობა, ფინალში კი დაამარცხა როჟე ვაშონი, რომელსაც ადგილობრივმა ჟურნალისტებმა „ძიუდოისტთა რისხვა" უწოდეს. 23 წლის კობა კურტანიძე პირველად გახდა ჩემპიონი.

პირველად მოიპოვა კონტინენტის ჩემპიონის ოქროს მედალი 23 წლის გროზნოელმა მოჭიდავემ ბაშირ ვარაევმაც. მსოფლიოსა და ევროპის ექსჩემპიონმა 28 წლის მაიკოპელმა ხაზრეთ ტლეცერმა კი პოზიცია დათმო — იგი მეორე ადგილზე გავიდა.

სპეციალისტთა მოწონება დაიმსახურა ქუთაისელი აკაკი კიბორძალიძის გამოსვლამ. მართალია, მან მხოლოდ ბრინჯაოს მედალი მიიღო, მაგრამ ნაკრების მწვრთნელებს მიაჩნიათ, რომ აკაკის მეტის გაკეთებაც შეუძლია და იგი უახლოეს მომავალში ევროპის უძლიერეს მძიმეწონოსნებს კიდევ შეახსენებს თავს.

გუნდური პირველობისთვის, როგორც უკვე ავღნიშნეთ, საფრანგეთისა და საბჭოთა კავშირის მოჭიდავეები იბრძოდნენ. მედლები ქვეყნებს შორის ასე განაწილდა:

| | ოქრო | ვერცხლი | ბრინჯაო |
|---|---|---|---|
| საფრანგეთი | 3 | 4 | — |
| სსრ კავშირი | 3 | 1 | 3 |
| პოლონეთი | 1 | — | 2 |
| რუმინეთი | 1 | — | — |
| დიდი ბრიტ. | — | 1 | 1 |
| იუგოსლავია | — | 1 | — |
| შვეიცარია | — | 1 | — |
| გფრ | — | — | 5 |
| ავსტრია | — | — | 2 |
| უნგრეთი | — | — | 1 |
| ბელგია | — | — | 1 |
| გდრ | — | — | 1 |

პარიზში პარალელურად ევროპის ძიუდოისტ ქალთა ჩემპიონატიც ჩატარდა. აქ ოქროს მედლები მოიპოვეს: მსოფლიოს ჩემპიონმა ინგლისელმა კარენ ბრ[...]ტზმა (48 კგ), ფრანგებმა ი[...]ელ პაკმა (72 კგ-ზე ზევით), [...]მენი, ბრენმა (52 კგ) და კა[...]არნომ (56 კგ). პოლონელმა [...] გუსლავა ოლეხნოვიჩმა (61 [...]), ჰოლანდიელებმა შანტალ ჰანმა ([...] კგ) და ირენე დე კოკმა (72 [...]).



მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონ[...] ბელგიელმა ინგრიდ ბერგმანსმა (ა[...]სოლუტური პირველობა).

ნოემბერში ესენში (გფრ) ჩატ[ა]რდება ქალთა და ვაჟთა მსოფლ[იო] ჩემპიონატი, რომელიც აქედან[ვე] იპყრობს ყურადღებას. ესენის მ[სო]ფლიო ჩემპიონატისათვის საბჭო[]თა ძიუდოისტებიც გულმოდგინ[ედ] მოემზადებიან.

**გთავაზობთ ძიუდოისტთა ევრო[]პის ჩემპიონატის პრიზიორთა [სი]ას:**



ქუთაისი. „დინამოს“ სტადიონი, 12 მაისი.

„მშენებელი“ (ქუთაისი) — „ელექტრომაში“ (ტირასპოლი) 49:9 (31:3).

„მშენებელი“: ხარშილაძე; ძო…ნიძე (ხამაშურიძე), ლიპარტე…ლიანი, გიორგობიანი, გაბრიჩიძე; ძაგნიძე, ლოსაბერიძე; ობოლაძე, ტურძელაძე, ლილუაშვილი, ოდი…შარია, ნაჭყებია, შვანგირაძე (ფხა…ძე), თხელიძე, ნემსიწვერიძე.

„ელექტრომაში“: პატულა; სო…კოვსკი, ოლარი, პატოლიჩენკო, …ტახოვი; შლიუშკინი, იუშკოვი; …აშკო, ივანუშკინი, ქრისტოფო…როვი (იავიკი), ბონდარენკო, საპე…გა, კატალიჩენკო, ჩეველევი, სტრა…ხი (ზახარენკო).

მსაჯი ვალენტინ ბახტიაროვი (მოსკოვი).

გოლები: „მშენებელი“: 7 დამიწება (11, გიორგობიანი, 32, ძაგნიძე; 39, 40, გაბრიჩიძე; 50, თხელიძე; 75, ნაჭყებია; 78, ტურძელაძე), 6 რეალიზაცია (11, 39, 40, 50, 75, 78, ძაგნიძე), 3 არეკნი (3, 27, 30, ძაგნიძე). „ელექტრომაში“: სახარიმო (20, შლიუშკინი), დამიწება რეალიზაციითურთ (80, საპეგა, ასტახოვი).

სსრ კავშირის ჩემპიონატი რეგბიში

# თუ ასე გააგრძელეს...

**ერთთვიანი** შესვენება მუდამ პრობლემების წინაშე აყენებს მწვრთნელებს, რადგან გუნდს უჭირს სპორტული ფორმის შენარჩუნება. მაგრამ ტირასპოლელებთან შეხვედრამ გვიჩვენა, რომ ქუთაისელ რეგბისტებს ეს პაუზა კარგად გამოუყენებიათ მომავალი მატჩებისათვის მოსამზადებლად. ბმჯერად გუნდი სახეშეცვლილი შემადგენლობით წარუდგა მაყურებელს: მცველის ადგილი მიხეილ ხარშილაძემ დაიკავა, ნახევარმცველად კი ნუგზარ ძაგნიძე ვიხილეთ, რომელმაც საკმაოდ შედეგიანადაც ითამაშა — გუნდს 25 ქულა შესძინა. ამ სეზონში პირველად გამოვიდნენ მოედანზე ტრავმამოშუშებული ბადრი შვანგირაძე და საბჭოთა კავშირის ჭაბუკთა ნაკრებიდან დაბრუნებული პაატა ძოწენიძე.

ტირასპოლელები წელს მეორედ მონაწილეობენ უმაღლესი ლიგის გუნდების შეჯიბრებაში, მაგრამ რეპუტაცია საკმაოდ კარგი აქვთ. სტუმრების ძალაზე ის ადგილიც მიუთითებს, რომელიც მათ გათამაშების ცხრილში უკავიათ. ცხადია, ასეთ მეტოქესთან იოლ გამარჯვებას არავინ მოელოდა, მაგრამ მოხდა ისე, რომ თამაში ქუთაისელთა აშკარა უპირატესობით წარიმართა, ამ დღეს მაყურებელმა მასპინძელთა შესრულებით იხილა ის, რითაც მიმზიდველია რეგბი: მოედნის საკუთარი ნახევრიდან წამოწყებული იერიშები, რომლებშიც თითქმის მთელი გუნდი მონაწილეობდა, ეფექტური კონტრშეტევები, სტუმრების შეცდომებს რომ მოჰყვებოდა ხოლმე; ნახევარმცველის მიერ არეკნით გატანილი გოლები, მორკინალთა მძლავრი ბიძგი, სტუმრებს უკან რომ ახევინებდა და რომელიც ერთხელ შერკინებიდან ბურთის გამოუტანლად ლელოს გატანით დამთავრდა. ერთი სიტყვით, მასპინძლებს წუთითაც არ მოუდუნებიათ ყურადღება, რაც იმას გვაფიქრებინებს, რომ ქუთაისელები არც გასვლით მატჩებში შეირცხვენენ თავს.

**თამაზ ხარაბაძე.**

• • •

თბილისის გუნდებმა — „ლოკომოტივმა“ და „შევარდენმა“ მეტოქის მოედანზე ითამაშეს. „ლოკომოტივი“ დამარცხდა ალმა-ათის არმიელებთან (9:15), შევარდენი“ — კიევის „ავიატორთან“ (3:50). სხვა მატჩები ასე დამთავრდა: „სლავა“ — ეტს 10:6, სსა — „პრიმორეცი“ 18:10.

**გათამაშების ცხრილი**

**მდგომარეობა 14 მაისისათვის**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ქ. | |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ავიატორი“ | 7 | 6 | 1 | 0 | 20 | (—1) |
| „მშენებელი“ | 7 | 6 | 0 | 1 | 19 | (—2) |
| ასკ | 7 | 4 | 2 | 1 | 17 | (—4) |
| სსა (მონინო) | 7 | 4 | 2 | 1 | 17 | (—4) |
| „ლოკომ.“ (თბ.) | 7 | 4 | 0 | 3 | 15 | (—6) |
| „სლავა“ (მ.) | 7 | 4 | 0 | 3 | 15 | (—6) |
| „ელექტ.“ (ტირ) | 7 | 3 | 1 | 3 | 14 | (—7) |
| ეტს (კრას.) | 7 | 2 | 1 | 4 | 12 | (—9) |
| „ფილი“ (მ.) | 6 | 2 | 1 | 3 | 11 | (—7) |
| „პრიმ.“ (ლენ.) | 7 | 1 | 0 | 6 | 9 | (—12) |
| „ლოკომ.“ (მ.) | 6 | 1 | 0 | 5 | 8 | (—10) |
| „შევარდენი“ | 7 | 0 | 0 | 7 | 7 | (—14) |

• • •

**რიგის** ქარხანა „კომუტატორის“ თაოსნობით ჩატარდა გამარჯვების დღისადმი მიძღვნილი რეგბისტთა ტურნირი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო საქართველოს ზოოვეტერინარული ინსტიტუტის გუნდმა. თბილისელებმა (მწვრთნელი — თემურ ცინცაძე) დაამარცხეს მასპინძელთა (7:6), ლენინგრადის სატყეო აკადემიის (6:4) და ზელინოგრადის (12:4) გუნდები და ამ ტურნირის პირველი ლაურეატები გახდნენ. საუკეთესო მოთამაშედ აღიარეს თბილისელი ნიკო წიქარიძე.

საქართველოს პირველობა

## I ჯგუფი

**გათამაშების ცხრილი**

**მდგომარეობა 14 მაისისთვის**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „სამეგრელო“ | 13 | 8 | 4 | 1 | 23-9 | 20 |
| „სქური“ | 13 | 8 | 3 | 2 | 26-12 | 19 |
| „მერცხალი“ | 13 | 6 | 7 | 0 | 18-6 | 19 |
| „შადრევანი“ | 12 | 9 | 0 | 3 | 21-10 | 18 |
| „კოლხეთი“ | 13 | 7 | 3 | 3 | 18-10 | 17 |
| ფიზკ. ინსტ. | 13 | 6 | 4 | 3 | 19-12 | 16 |
| „სალხინო“ | 13 | 5 | 6 | 2 | 16-13 | 16 |
| „სპარტაკი“ | 13 | 6 | 3 | 4 | 21-15 | 15 |
| „საპოვნელა“ | 13 | 6 | 3 | 4 | 20-23 | 15 |
| „დინამო“ გ. | 13 | 5 | 5 | 3 | 15-13 | 15 |
| „სულორი“ | 13 | 5 | 5 | 3 | 10-10 | 15 |
| „დინამო“ ზ. | 12 | 5 | 4 | 3 | 18-10 | 14 |
| „მეტალურგი“ | 13 | 6 | 1 | 6 | 19-16 | 13 |
| „ამირანი“ | 13 | 5 | 3 | 5 | 11-20 | 13 |
| „იმ.“-„დინ.“-2 | 11 | 4 | 5 | 2 | 19-14 | 13 |
| „ეგრისი“ | 13 | 4 | 4 | 5 | 18-18 | 12 |
| „კახეთი“ | 13 | 4 | 3 | 6 | 22-23 | 11 |
| „ქართლი“ | 13 | 4 | 3 | 6 | 15-16 | 11 |
| „მადნეული“ | 13 | 3 | 4 | 6 | 17-17 | 10 |
| „დურუჯი“ | 13 | 2 | 3 | 8 | 8-18 | 7 |
| „არმაზი“ | 13 | 2 | 3 | 8 | 9-22 | 7 |
| „იმერეთი“ | 13 | 1 | 4 | 8 | 12-29 | 6 |
| ახ. საფ. სკ. | 13 | 2 | 0 | 11 | 9-30 | 4 |
| „ივერია“ | 13 | 0 | 2 | 11 | 7-25 | 2 |

## II ჯგუფი

### I ქვეჯგუფი

„თუშეთი“ (ქვემო ალვანი) — „ჰერეთი“ (ლაგოდეხი) 2:1, „სპი-„დინამო“-3 (თბილისი) — „სამგორი“ (გარდაბანი) 0:0, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი (თბილისი) — სასწავლო-საცდელი მეურნეობა (მუხრანი) 1:1, „მეტალისტი“ (რუსთავი) — „ფოსტამტი“ (თბილისი) 1:0, „მიონი“-35 (თბილისი) — „გარეჯი“ (საგარეჯო) 2:2, „ვარდისუბანი“ (ლაგოდეხის რ-ნი) — „ბახტრიონი“ (ახმეტა) 2:3, „ქიზიყი“ (სიღნაღი) — „მშენებელი“ (რუსთავი) 2:5.

### II ქვეჯგუფი

„კოლმეურნე“ (მარნეულის რ-ნი) — „არაგვი“ (დუშეთი) 1:1, „ლიახვი“ (ცხინვალის რ-ნი) — „მეფურინველე“ (კასპი) 0:1, „განთიადი“ (დმანისი) — „ზარზმა“ (ადიგენი) 3:2, „მარაბდა“ (კოდა) — „თრიალეთი“ (წალკა) 0:0, „ფარვანა“ (ადიგენი) — „მესხეთი“ (ახალციხე) 1:3, „მეავეჯე“ (ახალდაბა) — „აბული“ (ახალქალაქი) 2:2, „გარისი“ (თეთრი წყარო) — „ალგეთი“ (მარნეული) 2:0, „ვარძია“ (ასპინძა) — „თორი“ (ბორჯომი) 3:1, „ავტომობილისტი“ (გორი) — „ბაგიათი“ (ჯავა) 5:1.

### III ქვეჯგუფი

„ქიმიკოსი“ (ამბროლაური) — „მამისონი“ (ონი) 2:1, „მაღაროელი“ (ჭიათურა) — „ზანა“ (აბაშა) 6:0, პოლიტექნიკური ინსტიტუტი (ქუთაისი) — „ჩიხურა“ (საჩხერე) 1:2. „ჭოგნარი“ (თერჯოლის რ-ნი) — „მეშაქრე“ (აგარა) 3:1, „ცენტრმეტალურგმშენი“ (ზესტაფონი) — „იბერია“ (ქარელი) 3:0, „იმერეთი“ (წულუკიძე) — „საირმე“ (მაიაკოვსკი) 1:0, „მშენებელი“ (ჭიათურა) — ხდკ (სამტრედია) 2:1.

ცაგერის „ხვამლი“ სათამაშოდ არ გამოცხადდა ორჯონიკიძის „ჩხერიმელასთან“, რისთვისაც მას წაგება მიესაჯა.

### IV ქვეჯგუფი

„უნივერსიტეტი“ (სოხუმი) — „განთიადი“ (ცხაკაია) 3:1, „მეშახტე“ (ტყვარჩელი) — „მზიური“ (გალი) 1:2, „დინამო“-2 (ბათუმი) — „კოლმეურნე“ (გაგრა) 1:1, „ოდიში“ (ზუგდიდის რ-ნი) — „დვაბზუ“ (მახარაძე) 4:1, „ნარინჯი“ (გონიო) — „ბახმარო“ (ჩოხატაური) 0:1, „ჩიბათი“ (ლანჩხუთი) — „სუბტროპიკი“ (სოხუმი) 4:0.

## გაკოტრება ემუქრებათ

ბოლივიის პირველ ლიგაში 18 კლუბი გამოდის. აქედან დღეისათვის თხუთმეტს გაკოტრება ელის. როგორც გაზეთები იუწყებიან, ზოგიერთი გუნდის წევრები უკვე თვეობით არ იღებენ ხელფასს. თავს კარგად მხოლოდ ფეხბურთის მსაჯები გრძნობენ. ისინი ერთ მატჩში 150 დოლარ ჰონორარს იღებენ, ეს მაშინ, როცა მასწავლებლის თვიური ხელფასი საშუალოდ 50 დოლარია.

## მოკლედ

…ალენჯიხა.

…აქ გაიმართა შეჯიბრება ჭადრა…ა და შაშში. მოშაშეთა პირვე…ობაში საუკეთესოდ ისპარეზა …ტუ მიქავას სახელობის კოლმე…რნეობის გუნდმა, რომელმაც მე…ეთედ მოიპოვა ჩემპიონის სახე…ი. II ადგილი წილად ხვდათ …ის ფაბრიკების საწარმოო გაერ…თიანების წარმომადგენლებს, III — კარლ მარქსის სახელობის კო…მეურნეობის გუნდს.

მთავარი საჭადრაკო პრიზისთვის …ბრძოლაში, რომელშიც თორმეტი …ჭადრაკე მონაწილეობდა, გაი…მარჯვა საკალანდიოს რვაწლიანი …კოლის დირექტორმა გ. სახაიამ, II ადგილი დაიკავა რაიკოოპკავ…შირის მუშაკმა გ. გვაჯავამ, III — …ვარის რუსული საშუალო სკოლის …მასწავლებელმა გ. გვაჯავამ.

**ოლეგ სალია.**

# …ებით

…1. პ. რუ (საფრანგეთი), …ლეცერი (სსრ კავშირი), …ისლი (დიდი ბრიტანეთი) …ტცე (გფრ).

1. ჟ.-პ. ჰანსენი (საფ… 2. დ. ბეკანოვიჩი (იუ…), 3. ს. კოსმინინი (სსრ …და ტ. მუიკო (უნგრეთი).

1. ვ. ბლახი (პოლონე… მელილო (საფრანგეთი), …ლი (გდრ) და შ. შტრან…

1. ვ. ვარაევი (სსრ კავ… ჟ.-მ. ბერტიე (საფრანგე… რაიტერი (ავსტრია) და …(პოლონეთი).

1. ფ. კანიუ (საფრანგე… ვაიტი (დიდი ბრიტანე… პოდდუბნი (სსრ კავში… ზაიზენბაჰერი (ავსტრია).

1. ქ. ყურტანიძე (სსრ … 2. რ. ვაშონი (საფრანგე… ვან დე ვალე (ბელგია) …ლინგი (გფრ).

1. მ. ჩოკი (რუმინეთი), …ე (შვეიცარია), 3. ა. კი…ი (სსრ კავშირი) და ა. …გროობენი (გდრ).

…ლუტური. 1. გ. ვერიჩევი …ირი), 2. ჟ. ვაშონი (სა…), 3. ა. ბასიკი (პოლო… ი. პლატენი (გფრ).

# როცა თამაშს სიხარული მოაქვს

**თბილისის** „დინამოს“ მცველს, 25 წლის გელა დარსაძეს დღეს კალათბურთის ბევრი გულშემატკივარი იცნობს. მის გამოჩენას თბილისის სპორტის სასახლის სარბიელზე თუ ქვეყნის სხვა საკალათბურთო ცენტრებში გულშემატკივრები ოვაციებით ხვდებიან. მისი სწრაფი მანევრები, მოხდენილი დრიბლინგი, ვირტუოზული ტექნიკა, ფეთქებადი შეტევები მეტოქის გუნდში არევ-დარევას და დაბნეულობას, მაყურებელში და სპეციალისტებში კი აღფრთოვანებას იწვევს. თუ იმასაც ვიტყვით, რომ დარსაძე თამაშის დროს უშიშარი და კორექტულია, არ გაგვიჭირდება იმის გაგება, თუ რატომ ჰყავს ამდენი თაყვანისმცემელი ამ სიმპატიურ ახალგაზრდას.

— დარსაძის თამაშს არ შეიძლება გულგრილად უყურო, — ამბობს სსრ კავშირის ნაკრების მთავარი მწვრთნელი ალექსანდრე გომელსკი. — ეს არის თანამედროვე ფორმაციის მცველი. პოზიციის შეფასების მახვილი ალღო. სწრაფი აზროვნება ეხმარება მას ზუსტად განსაზღვროს თანაგუნდელთა მოქმედება, მიაგნოს ყველაზე სწორ გაგრძელებას რთულ სიტუაციაში.

სასიამოვნოა, როცა ამას ამბობს მსოფლიო კალათბურთის ერთ-ერთი ყველაზე ავტორიტეტული სპეციალისტი. მაგრამ ასეთი შეფასება სპორტსმენს იოლად არ დაუმსახურებია. მას ბევრი ოფლის დაღვრა მოუხდა სავარჯიშო მოედანზე.

— ჩემი პირველი მასწავლებელი ქუთაისის სპორტსკოლის მწვრთნელი ზაურ დოლაბერიძე იყო, — გვითხრა გელამ — ერთხელ იგი სკოლაში გვესტუმრა, კალათბურთის სექციაში ჩასაწერად ბიჭებს არჩევდა, სწორედ მაშინ დაიწყო ჩემი გზა.

ბიჭი ტანადობით არ გამოირჩეოდა, მაგრამ მწვრთნელმა შენიშნა, რომ სწრაფი, მოქნილი იყო და კარგი კოორდინაცია ექნებოდა. აი ასე მოხვდა ცხრა წლის გელა იმ ცნობილ სკოლაში, სადაც ბევრი გამოჩენილი სპორტის ოსტატი აღიზარდა: ზურაბ საკანდელიძე, ნიკოლოზ დერიუგინი, ზურაბ გრძელიძე... იმ დროს სკოლას სათავეში ედგა სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი, შესანიშნავი მასწავლებელი და ბავშვების დიდი მეგობარი სულიკო თორთლაძე. ქუთაისის საკალათბურთო სკოლას სწორედ მისმა ამოუწურავმა ფანტაზიამ, დიდმა



ენთუზიაზმმა და ოპტიმიზმმა მოუტანა სახელი და დიდება. აქ სკოლის აღზრდილთა შორის ხომ ოლიმპიური თამაშების, მსოფლიო და ევროპის ჩემპიონები არიან....

— მაშინვე დაცვაში მიმიჩინეს ადგილი,—გვიყვება გელა დარსაძე.—და ეს არც მინანია. ვფიქრობ, ამ ამპლუაში მოთამაშეს მეტი შესაძლებლობა აქვს. დაცვა ხომ შეტევას არ გამორიცხავს.

სწრაფვა შეტევისაკენ მისთვის დღესაც დამახასიათებელია. არც თუ ტანმაღალი დარსაძე (186 სმ) შესანიშნავად ტყორცნის ბურთს, მაგრამ როცა გელა „ფორმაშია“, ის მართლაც სასწაულებს ახდენს.

— „ბურთზე მუშაობა“ ბავშვობიდანვე მიზიდავდა, — ამბობს იგი. — დრიბლინგზე და ბურთის სროლაზე ბევრი მუშაობა მომიხდა, სხვანაირად სკოლის გუნდშიც არ მათამაშებდნენ.

დარსაძის სპორტულ ბიოგრაფიაში მნიშვნელოვანი თარიღია 1978 წელი, როდესაც იგი თბილისის „დინამოს“ მწვრთნელმა ლევან მოსეშვილმა თავის გუნდში მიიწვია. გელამ ერთი წელი ითამაშა სათადარიგო შემადგენლობაში.

— ეს ჩემთვის მშვენიერი სკოლა იყო, — იგონებს იგი. — ლევან მოსეშვილი დიდი გულმოდგინებით მასწავლიდა კალათბურთის ყველა საიდუმლოს და მეც მთელი სისრულით ვიგრძენი ამ თამაშის სილამაზე.

ერთი წლის შემდეგ დარსაძე უკვე ძირითად შემადგენლობაში ჩარიცხეს, სადაც დღემდე ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უჭირავს. ქართველი გულშემატკივრების აზრით, იგი გამოჩენილი ქართველი კალათბურთელების გურამ მინაშვილის, ზურაბ საკანდელიძის, თამაზ ჩიხლაძის, ლევან ჩხიკვაძის ღირსეული მემკვიდრეა.

— როგორი უნდა იყოს იდეალური მცველი? — ვეკითხებით დარსაძეს.

— მასში შერწყმული უნდა იყოს სერგეი ბელოვის ინდივიდუალური თვისებები და სტანისლავ ერიომინის ორგანიზატორული ნიჭი.

— თანამედროვე კალათბურთში რა როლს ანიჭებთ დაცვის მოთამაშეებს?

— ახალმა წესებმა საშუალება მოგვცა უფრო შემოქმედებითად მოვეკიდოთ თამაშს. თანამედროვე მცველი—ეს არის უნივერსალური მოთამაშე, რომელიც ერთდროულად ახერხებს როგორც თავისი კალათის დაცვას, ისე შეტევის ორგანიზაციას.

დარსაძე ფიქრობს, რომ მისი თამაში სრულყოფილი ჯერ კიდევ არ არის, რომ უფრო მეტი უნდა იმუშაოს დრიბლინგის სრულყოფაზე, შორი მანძილიდან სროლაზე, გააფართოვოს ტაქტიკური ვარიანტების არსენალი. ახლანდელი ჩემპიონატი საკმაოდ მძიმე გამოცდა აღმოჩნდა მისი გუნდისთვის.

— სიძნელეებმა უფრო გამოგვაწრთო და შეგვაკავშირა თანაგუნდელები, — გვითხრა გელამ, — კვლავ ვეცდებით გავახაროთ გულშემატკივრები.

—გელა დარსაძე უდაოდ ნიჭიერია, — ამბობს ლევან მოსეშვილი. — მაგრამ მისი პოტენციალი რომ გამოვლინდეს, უფრო მეტი უნდა მოთხოვოს საკუთარ თავს, მხოლოდ მაშინ მიაღწევს მაღალ სტაბილურობას, გახდება ნამდვილი ლიდერი მოედანზე.

ამასვე უსურვებენ გელას მისი გულშემატკივრები და თანაგუნდელები.

დარსაძის ცხოვრებაში ახალი, მნიშვნელოვანი ეტაპი იყო, როცა იგი ალკკ XX ყრილობის საპატიო დელეგატად აირჩიეს, სპორტულ სარბიელზე კი მას ახალი გამოცდა ელის — დარსაძე ქვეყნის ნაკრების წევრია.

**შალვა შალოლაშვილი.**
**(საკუთარი კორ.).**

საქართველოს მოსწავლეთა პირველობა მეკლდეურობაში

# ერთი სპორტსმენის რვა გამარჯვება

**მეკლდეურთა** შეჯიბრებაში განსაკუთრებით სასახელოა აბსოლუტურ პირველობაში გამარჯვება. თუ აბსოლუტურ პირველობაში გამარჯვებულმა მეკლდეურობის სამივე სახეობაში პირველი ადგილი დაიკავა, ეს სპორტსმენის დიდ ოსტატობაზე მეტყველებს.

ახლახან ჭიათურაში გაიმართა მეკლდეურთა ასპარეზობა მოსწავლეთა შორის. თბილისელმა ლერი მიქელაძემ ყველას აჯობა არა მხოლოდ თავისი (1972-74 წწ. დაბადებულნი), არამედ უფროსი ასაკის სპორტსმენთა (1969-71 წწ.) შეჯიბრების უკლებლივ ყველა სახეობაში. საბოლოო ჯამში მან რვა პირველი ადგილი დაიკავა. მის მიერ ნაჩვენებმა შედეგებმა დაგვარწმუნა, რომ ლერი მიქელაძის სახით ჩვენს მეკლდეურებს შესანიშნავი ცვლა ეზრდებათ.

15 წლის ლერი მიქელაძე თბილისის 118-ე საშუალო სკოლის VIII კლასის მოსწავლეა. იგი შალვა ავსაჯანიშვილის ხელმძღვანელობით ვარჯიშობს.

— ლერის ასეთი წარმატება, ბუნებრივია, ძალიან გვახარებს, — გვითხრა ბავშვთა და მოზარდთა მეკლდეურობის რესპუბლიკური სპორტსკოლის დირექტორმა, სპორტის ოსტატმა ლადო გურჩიანმა. — ამ შეჯიბრებამ სხვა შედეგებითაც გაგვახარა. ასპარეზობაში გუნდების რეკორდული რაოდენობა, 7 ქალაქისა და რაიონის 11 ნაკრები ჩაება. სარბიელზე სულ 37 ბიჭი და 32 გოგონა გამოვიდა. წინა შეჯიბრებაზე ნაჩვენებ შედეგებს თუ გადავავლებთ თვალს, დავრწმუნდებით, რომ ასპარეზობის მონაწილეთა ძალები გათანაბრებულია. თანაც მოსწავლე სპორტსმენებმა ამჯერად გაცილებით უკეთესი ფიზიკური და ტექნიკური მომზადება გამოავლინეს. კარგად იყვნენ მომზადებული შეჯიბრების დებიუტანტები — ლენტეხელი მეკლდეურები. საინტერესოა, რომ მათთან ვლადიმერ ქურასბედიანმა შარშან სექტემბერში დაიწყო მუშაობა, მაგრამ, როგორც ჩანს, შეგირდებს ბევრი რამ ასწავლა. ლენტეხელებმა ამ ასპარეზობაში, გუნდურ პირველობაში, მესამე ადგილი დაიკავეს. დებიუტანტები იყვნენ ონელებიც. განსაკუთრებით კარგად იასპარეზეს მესტიელებმა, რომლებიც გამარჯვებულ თბილისელებს ოდნავ ჩამორჩნენ. ქებით უნდა მოვიხსენიოთ ჭიათურელებიც, რომლებიც მეკლდეურობისადმი სულ უფრო მეტ ინტერესს იჩენენ, განსაკუთრებით ჭიათურის მე-20 პროფტექნიკური სასწავლებლის მოსწავლეები. ქალაქის მეორე გუნდის ღირსებას სწორედ ისინი იცავდნენ.

სამწუხაროდ, შეჯიბრებას თავი აარიდეს ცხინვალელმა და ქუთაისელმა მეკლდეურებმა.

**ავთანდილ ჭუჟიშვილი.**

**კვარცხლბეკი**

**აბსოლუტური პირველობა. გოგონები. უმცროსი ასაკი.** ნონა ჩართოლანი (მესტია I) — 233,07 ქული, ეკა მოლოდინი (თბილისი I) — 133,87 (აქ სამივე სახეობაში „ტრასები" მხოლოდ ამ ორმა გაიარა, ამიტომ აბსოლუტურ პირველობაში მესამე პრიზიორი ვერ გამოვლინდა); **უფროსი ასაკი.** ნინო კვანჭიანი (მესტია I) — 351,67, ნონა აბრამიშვილი (ქარელი) — 298,83, ნინო კიკაჩეიშვილი (თბილისი I) — 285,2.

**ბიჭები. უმცროსი ასაკი.** ლერი მიქელაძე — 360, ნუკრი კვეზერელი (ორივე — თბილისი I) — 287,05, გიორგი ფოლადაშვილი (თბილისი II) — 158,39; **უფროსი ასაკი.** მიქელაძე — 360, კახა გურჩიანი — 334,28, ალექსი კვანჭიანი (ორივე — მესტია I) — 287,29.

**გუნდური.** თბილისი I — 1083,33, მესტია I — 1078,73, ლენტეხი I — 677,50, ქარელი — 627,18, ყაზბეგი — 610,25, მესტია II — 580,80, თბილისი II — 408,20, ჭიათურა II — 337,54, ჭიათურა I — 296,24, ლენტეხი II — 242,33, ონი — 85, 39.

## ჩოგბურთის ამბები

**თბილისის** ჩოგბურთის სასახლის კორტებზე დამთავრდა ქალაქის თასის გათამაშება. შეჯიბრების დასკვნით დღეს ერთმანეთს შეხვდნენ „დინამოსა" და განათლების სამინისტროს ოლიმპიური რეზერვის სპორტსკოლის გუნდები. ანგარიშით 6:2 გაიმარჯვეს დინამოელებმა, საპატიო თასსაც ისინი დაეუფლნენ. აი ისინიც, გამარჯვებული გუნდის წევრები: ეკა ბოკუჩავა, ლიკა ტამიროვა, დიანა შაფათავა, ნინო წირღვავა, გიორგი მირიანაშვილი, ლევან რაზმაძე, თარაშ კიკალეიშვილი და დუდუ გიგინეიშვილი (უფროსი მწვრთნელი — საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი სოლომონ თუხარელი).

**კიევში** გაიმართა ჭაბუკთა საკავშირო ტურნირი ცნობილი ავიაკონსტრუქტორის ო. ანტონოვის პრიზზე. ტურნირში 120-ზე მეტი ჩოგბურთელი მონაწილეობდა. კარგად იასპარეზეს ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებმა (1974-1975 წლებში დაბადებულთა შორის). პირველი ადგილები დაიკავეს თბილისის 58-ე საშუალო სკოლის მეექვსეკლასელმა თამრიკო ბერიძემ, 25-ე სკოლის მეექვსეკლასელმა მიხეილ მღებროვმა (მიხეილმა, წყვილთა თანრიგშიც გაიმარჯვა გიორგი ტყემალაძესთან ერთად).

**არტემ მალაიანცი.**



# სსრ კავშირის თასზე

**14 მაისს** გაიმართა სსრ კავშირის საფეხბურთო თასის 1986-87 წლების გათამაშების მეოთხედფინალური მატჩები.

მინსკში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „დინამო" და მოსკოვის „ტორპედო". დინამოელები დიდი ანგარიშით უგებდნენ მეტოქეს — 3:0, შემდგომში ტორპედოელებმა 2 საპასუხო ბურთის გატანა შეძლეს, მაგრამ მასპინძლებმა მაინც შეინარჩუნეს გამარჯვება — 3:2. აღსანიშნავია, რომ ტორპედოელთაგან ერთი ბურთი 11-მეტრიანით გაიტანა მეკარე ხარინმა.

კიევის დინამოელებმა დიდი უპირატესობით დაამარცხეს ლვოვის ასკ „კარპატი" — 4:0. ბლოხინმა ამ მატჩში 3 ბურთი გაიტანა, თასის მეოთხედფინალურ შეხვედრებში გატანილი გოლები კი გ. ფედოტოვის სახელობის კლუბის საერთო ჩათვლაში შედის.

მოსკოვის „დინამომ" მხოლოდ დაძაბული ბრძოლის შემდეგ შეძლო ნიკოპოლის „კოლოსის" დამარცხება — 1:0.

ხარკოვის „მეტალისტმა" თავის მინდორზე ვერაფერი გააწყო II ლიგის წარმომადგენელ, სიმფეროპოლის „ტავრიასთან" —0:0. დამატებითი პენალტებით გაიმარჯვა „ტავრიამ" — 3:2.

თასის ნახევარფინალებში ერთმანეთს შეხვდებიან „დინამო" (კიევი) — „დინამო" (მოსკოვი) და „ტავრია" (სიმფეროპოლი) — „დინამო" (მინსკი). ეს მატჩები ჩატარდება 22 მაისს, მასპინძელთა ვინაობას წილისყრა გაარკვევს.

## მატჩი ლენინგრადში

50

14 მაისს შედგა უმაღლესი ლიგის საკავშირო ჩემპიონატის მატჩი ფეხბურთში, ლენინგრადის „ზენიტმა" თავის მინდორზე ანგარიშით 1:0 დაამარცხა ვილნიუსის „ჟალგირისი".

## რატომ ჰოლანდიელები?

ბელგიელ მიმომხილველებს გაუმართლებლად მიაჩნიათ ის, რომ თითქმის ყველა ბელგიურ კლუბს ჰოლანდიელი მწვრთნელები უდგანან სათავეში. რაიმე მნიშვნელოვანი წარმატება რომ ჰქონდეთ, კიდევ ჰო. პრესის მუშაკების აზრით, თავიანთ გუნდებს თვით ბელგიელები უკეთ გაუძღვებოდნენ. განსაკუთრებით მკაცრად აკრიტიკებენ ცნობილ ჰოლანდიელ სპეციალისტს, წარსულში ეროვნული ნაკრების წევრს არი ჰანს.

## ბრაზილიელები ჩამოდიან ევროპაში

ბრაზილიის ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრები ამ დღეებში ევროპაში ჩამოდის. ეს ვიზიტი საერთაშორისო საფეხბურთო წრეების ყურადღების ცენტრშია. 19 მაისს ლონდონის „უემბლის" სტადიონზე გაიმართება მატჩი ინგლისისა და ბრაზილიის გუნდებს შორის, შემდეგ, 23 მაისს ბრაზილიელები დუბლინში შეხვდებიან ირლანდიის ნაკრებს, 26 მაისს გლაზგოში — შოტლანდიის გუნდს, 29 მაისს კი ტურნეს ბოლო შეხვედრა გაიმართება ჰელსინკში.

ბრაზილიის ეროვნული ნაკრების უფროს მწვრთნელად სულ ახლახან დაინიშნა 47 წლის კარლოს ალბერტო სილვა. ევროპაში გამგზავრების წინ ჟურნალისტებთან გამართულ პრესკონფერენციაზე კ. ა. სილვამ განაცხადა:

— ბრაზილიის ნაკრები თითქმის მთლიანად განახლდა. ბრაზილიელებმა სულ ახლახან 1988 წლის ოლიმპიური თამაშების ფინალური საფეხბურთო ტურნირის საგზური გაინაღდეს, გუნდის შემადგენლობაში გამოირჩეოდნენ კარეკა, მიულერი, სილასი, უმეტესობა კი ახალგაზრდებია, რომლებსაც საერთაშორისო საფეხბურთო სამყარო ჯერ არც იცნობს. საიმისოდ, რომ ბრაზილია კვლავ უძლიერესად იქცეს მსოფლიოში, გვინდა შევქმნათ ორი ცალცალკე გუნდი, ისინი დამოუკიდებლად ითამაშებენ სხვადასხვა შეჯიბრებებში, მომავალი მსოფლიო ჩემპიონატის წინ კი ამ ორი გუნდიდან შევარჩევთ ერთ ნაკრებს, რომელსაც საიმედო რეზერვები ეყოლება.

## „ჭადრაკის უნივერსიტეტის" კონკურსში მონაწილეთა საყურადღებოდ!

„ლელოს" დამატება „მერანის" მე-10 ნომერში გამოქვეყნებული კონკურსის პირველი სერიის მეათე კითხვაში (შამათი 3 სვლაში) მოცემულ დიაგრამაზე ტექნიკური მიზეზების გამო არ ჩანს შავების მეფე, რომელიც უნდა იდგეს h1-ზე. მოგვყავს სრულყოფილი დიაგრამა.



„ლოკომოტივის" სტადიონი
(ი. ჭავჭავაძის პრ. № 74)

**რეგბი**

**საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი**

**17 მაისი**

**„ლოკომოტივი" (თბილისი)—„ელექტრომაში" (ტირასპოლი).**

დასაწყისი 17 საათზე.

**რედაქტორი**
**თ. გაჩეჩილაძე.**

საქართველოს პროფკავშირების ნებაყოფლობითი ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოება 17 მაისს ქართული ჭიდაობის დღესთან დაკავშირებით ატარებს მასობრივ სპორტულ ღონისძიებებს. შეჯიბრებები მოეწყობა სპორტის სასახლის მოედანზე (დასაწყისი 11 საათზე), რიყეზე (11 სთ), თემქაში (17 სთ), აგრეთვე ვარკეთილში, კასპში, საგურამოში, თელავში, გორში, ახმეტაში, ცხინვალში ქარელში, ორჯონიკიძეში, ბორჯომში, მცხეთაში, დუშეთში, თიანეთში, წითელწყაროში, ცხაკაიაში, მესტიაში, ლენტეხში, გლდანში.

კვირას, 17 მაისს, 11 საათზე ძველ თბილისში, რიყეს ტერიტორიაზე გაიმართება ტრადიციული სპორტული ზეიმი. პროგრამაშია შეჯიბრებები ქართულ ჭიდაობაში, სიმძიმეების აწევაში, ლახტში, მაგიდის ჩოგბურთში, ჭადრაკში, ბაგირის გადაძალვაში, სკეიტბორდში. ნახავთ საჩვენებელ გამოსვლებს ავტოსამოდელო სპორტში.

**კომკავშირის თბილისის საქალაქო კომიტეტი.**

ფეხბურთი

# ისევ „აიაქსი", ისევ კრუიფი!

**18 მაისს** ათენის ოლიმპიურ სტადიონზე გამოვლინდა ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშების ახალი გამარჯვებული. საპატიო პრიზი ამჯერად ამსტერდამში გაემგზავრა. 12000 ჰოლანდიელი ტურისტი მიეგება თავისი საყვარელი კლუბის „აიაქსის" წარმატებას, რომელმაც კაპიტნის მარკო ვან ბასტენის მიერ მე-20 წუთზე გატანილი ერთადერთი გოლის წყალობით დაამარცხა ლაიფციგის „ლოკომოტივი" (გდრ).

ოლიმპიური სტადიონის ტრიბუნებზე შეკრებილმა 25000 მაყურებელმა დაძაბული, მაგრამ ამავე დროს კორექტული თამაში იხილა. იტალიელ არბიტრს ლუიჯი ანიოლინს, ისევე, როგორც ერთი კვირით ადრე უეფა-ს თასის პირველ მატჩში მის გერმანელ კოლეგას ზიგფრიდ კირშენს, ყვითელი ბარათის ჩვენება არ დასჭირვებია.

პირველ ტაიმში მცირე უპირატესობა ჰოლანდიელებს ჰქონდათ. გატანილი გოლის შემდეგ ჰოლანდიელები ნაკლები გულმოდგინებით უტევდნენ, თუმცა ცდილობდნენ ბრძოლის სადავეები ხელიდან არ გაეშვათ.

მეორე ტაიმში გერმანელებმა ყველაფერი იღონეს ანგარიშის გასათანაბრებლად, მაგრამ იმ იშვიათ შემთხვევაში, როცა ისინი ახერხებდნენ სახიფათო მომენტის შექმნას, კარგად თამაშობდნენ „აიაქსის" მეკარე მენცო და მცველები.

გაგაცნობთ გუნდების შემადგენლობებს: **„აიაქსი"** — მენცო, ზილოი, ვერლაატი, რაიკაარდი, ბევე, ვინტერი, ვან' ტ სხიპი, ვოუტერსი, ვან ბასტენი, მიურენი (სხოლტენი, 83), ვიტშგე (ბერგკამპი, 67); **„ლოკომოტივი"** — მიულერი, კრეერი, ბაუმი, ლინდნერი, ციოცშე, ბრედო, შოლცი, ლიბერსი (კიუნი, 75), ედმონდი (ლაიცკე, 55), რიხტერი, მარშალი.

ამსტერდამის „აიაქსმა" მეოთხედ გაიმარჯვა ევროპის საკლუბო ტურნირში. შეგახსენებთ, რომ 1971-1973 წლებში ამ კლუბმა ჩემპიონთა თასის გათამაშებაში გაიმარჯვა. მაშინ „აიაქსის" ნამდვილი ლიდერი იყო ლეგენდარული იოჰან კრუიფი. „აიაქსის" ახალი გამარჯვება ისევ კრუიფის, კლუბის ახლანდელი ხელმძღვანელის სახელს უკავშირდება.

„აიაქსის" ეს გამარჯვება ამსტერდამში გულშემატკივრებმა თავისებურად აღნიშნეს: დაამსხვრიეს მაღაზიების ვიტრინები, დაწვეს მანქანები. აღგზნებულ ადამიანთა თარეში მთელი ღამე გაგრძელდა. პოლიციამ მხოლოდ დილით შეძლო წესრიგის დამყარება. 10 კაცი დაპატიმრებულია, ხულიგნებთან ბრძოლაში 12 წესრიგის დამცველი დაშავდა. ქალაქ ამსტერდამის ცენტრალური ნაწილი დიდად დაზარალდა.



ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს" სტადიონი

(წერეთლის გამზირი № 2)

**18 მაისი ● ფეხბურთი**

**სსრ კავშირის ჩემპიონატი**

**„დინამო" (თბილისი) — „არარატი" (ერევანი)**

დასაწყისი 19 საათსა და 30 წუთზე

მატჩზე დასასწრები და ლატარიის ბილეთები იყიდება სტადიონის სალაროებში და ორგანიზაციებში. სალაროები ღიაა 10-დან 19 საათამდე (შესვენება 14-15 საათამდე).

აბონემენტების მფლობელებს ლატარიის ბილეთების შეძენა შეუძლიათ № 7 სალაროში.

**ამ გუნდების სათადარიგო შემადგენლობათა მატჩი 17 მაისს აქვე გაიმართება.**

დასაწყისი 19 საათსა და 30 წუთზე.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096.
თბილისი, ლენინის ქ. 14.
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო"

რედაქციის ტელეფონები:
ხამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-58,
წერილების განყოფილება — 93-97-55,
„მერანი" — 93-97-26, „მართვე" — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი: 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 უე 06920